N 16/136401
29/10/2020

136401-16-2-202010291659
https://edoc.mof.ge/public/#/

ა(ა)იპ საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა
და აუდიტორთა ფედერაციას
მისამართი: ქ.თბილისი, ა. წერეთლის გამზირი N61

ა(ა)იპ საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა
და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიულ ფედერაციას
მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას ბამზირი №45

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომ - სამსახური) განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გამოიკვეთა სერტიფიცირებული ბუღალტრების ინფორმირების აუცილებლობა, აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციისთვის მოთხოვნილი საკანონმდებლო წინაპირობებთან დაკავშირებით. საკითხი ეხება სერტიფიცირებული ბუღალტრის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის აუდიტორის ზედამხედველობით ჩატარების არანაკლებ 3-წლიანი პრაქტიკულ გამოცდილებას, რასაც წერილობით ადასტურებს ზედამხედველი აუდიტორი.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, რეესტრში რეგისტრაციით დაინტერესებულ ფიზიკურ პირს უნდა ჰქონდეს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის აუდიტორის ზედამხედველობით ჩატარების არანაკლებ 3-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება, რასაც წერილობით ადასტურებს ზედამხედველი აუდიტორი.

,,ვებგვერდისა და რეესტრის ელექტრონული ფორმით წარმოების, მისი სტრუქტურის, ფორმის, მასში ასახული ინფორმაციის ნუსხისა და მომხმარებელთა იდენტიფიცირების წესის განსაზღვრის თაობაზე" ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2016 წლის 28 ოქტომბრის N17 ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდგომ - წესი) მე-4 მუხლის მესამე პუნქტის თანახმად, „3 (სამი)-წლიანი პრაქტიკული გამოცდილება გულისხმობს ამ 3 (სამ)-წლიანი პერიოდის არანაკლებ ბოლო 2 (ორი) წლის მანძილზე უშუალოდ გარიგების პარტნიორის დაქვემდებარებაში მუშაობას და ისეთი ფუნქციების შესრულებას, რომელიც სულ მცირე მოიცავს სამუშაო გუნდის მართვას, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვის და ხარისხის უზრუნველყოფას, აუდიტის დაგეგმვას, დამკვეთ სუბიექტთან ურთიერთობას გარიგების მნიშვნელოვან საკითხებზე, არსებითი აუდიტორული მტკიცებულებების და მსჯელობების, აუდიტს დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგების მთლიანობაში მიმოხილვას, რაც საფუძვლად ედება აუდიტორული დასკვნის მომზადებას." ხოლო წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო განაცხადის მე-3 პუნქტში მიეთითება დაინტერესებული პირის აუდიტორის ზედამხედველობით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების (აუდიტორულ გარიგებებში მონაწილოების) არანაკლებ 3-წლიან პრაქტიკულ გამოცდილებასთან დაკავშირებით

http://wi

დამსაქმებელი აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის სახელწოდება, ზედამხედველი აუდიტორის ზედამხედველობის ქვეშ ქსელის ფარგლებში მიღებული პრაქტიკული გამოცდილების მიღების ქვეყანა, ზედამხედველი აუდიტორის წერილობითი დასტური (პრაქტიკის ფურცელი), რომელიც მოიცავს სერტიფიცირებული ბუღალტრის და ზედამხედველი აუდიტორის სახელს, გვარს და პირად ნომერს, ზედამხედველი აუდიტორის რეესტრში რეგისტრაციის ნომერს, პრაქტიკის პერიოდს (დაწყებისა და დასრულების თარიღს), სუბიექტთან დადებული იმ გარიგებების შესახებ ინფორმაციას (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ხელშეკრულების საგანი და პერიოდი), რომელშიც კანდიდატი/სერტიფიცირებული ბუღალტერი მონაწილეობდა (შესაბამისი როლის მითითებით), ასევე, ინფორმაციას, კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის მიერ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაში მონაწილეობის მიღებისას გამოვლენილი, გამომუშავებული პროფესიული კომპეტენციების შესახებ (პროფესიული უნარები, ტექნიკური კომპეტენციები, პროფესიული ფასეულობები, ეთიკა და დამოკიდებულებები). ზედამხედველი აუდიტორის ფუნქციების განხორციელებისას, პირი უნდა იყოს აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორი ან/და საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორი.

შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გამოცდილების მიღების დროს, აუცილებელი პირობაა, 3 (სამ)-წლიანი პერიოდის არანაკლებ ბოლო 2 (ორი) წლის მანძილზე სერტიფიცირებული ბუღალტერი უშუალოდ გარიგების პარტნიორის დაქვემდებარებაში მუშაობდეს და შესრულებული ჰქონდეს შემდეგი ფუნქციები: აუდიტის სამუშაო გუნდის მართვა, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა და ხარისხის უზრუნველყოფა, აუდიტის დაგეგმვა, დამკვეთ სუბიექტთან ურთიერთობა გარიგების მნიშვნელოვან საკითხებზე, არსებითი აუდიტორული მტკიცებულებების და მსჯელობების, აუდიტს დაქვემდებარებული ფინანსური ანგარიშგების მთლიანობაში მიმოხილვა, რაც საფუძვლად ედება აუდიტორული დასკვნის მომზადებას.

რაც შეეხება პრაქტიკის ფურცელს, ის დადასტურებული უნდა იყოს ზედამხედველი აუდიტორის მიერ, თუ სერტიფიცირებულმა ბუღალტერმა პრაქტიკა გაიარა რამდენიმე ზედამხედველ აუდიტორთან, პრაქტიკის ფურცელი დადასტურებული უნდა იყოს თითოეულის მიერ. ასევე მნიშვნელოვანია, პრაქტიკის ფურცელში მითითებული იყოს კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაციები, მათ შორის: კანდიდატის/სერტიფიცირებული ბუღალტრის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგებაში როლი, გარიგების დაწყებისა და დასრულების თარიღები, სუბიექტთან დადებული გარიგებების შესახებ ინფორმაცია (სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი, ხელშეკრულების საგანი და პერიოდი).

ზემოთაღნიშნულის თანახმად, გთხოვთ მოახდინოთ პროფესიული ორგანიზაციის წევრი სერტიფიცირებული ბუღალტრების ინფორმირება აუდიტორების რეესტრში რეგისტრაციის მიზნებისთვის მოთხოვნილი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გამოცდილებასთან დაკავშირებით.

იური დოლიძე

სამსახურის უფროსი